ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№EU/ADM/34

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2011წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მისამართი: ქ. თბილისი, მისამართი: მ. ასათიანის ქ. №9, საიდენტიფიკაციო კოდი 211324351, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ 220101757, ა/ა 102531545506) (შემდგომში „**შემსყიდველი**“)

მეორეს მხრივ: შპს „კონტინენტალი“ (მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის 14ა, საიდენტიფიკაციო კოდი: 204987185, საბანკო რეკვიზიტები: სს „თი-ბი-სი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი, ბანკის კოდი 220101838, ა/ა: GE62TB1981536020100002) (შემდგომში „**მიმწოდებელი**“) თანხმდებიან შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსყიდველი, ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელებს სამზარეულო-საოჯახო ნივთების (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვას ზღვრული თანხით არაუმეტეს 1000.00 (ათასი) ლარის ოდენობით. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1.2 ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას.

1.3 1.1. პუნქტში მითითებული თანხა მოიცავს ყველა იმ გადასახადსა და მოსაკრებელს, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა. შემოსავლების სამსახურის ცნობის საფუძველზე, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

1.4 ხელშეკრულების ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტია 39200000 – სამზარეულოს მოწყობილობები, საოჯახო ნივთები და სურსათის მარაგი.

2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების განხორციელების პროცესში შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირი, მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მოწოდების ადგილას განახორციელებს კონტროლს, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, რაოდენობის აღრიცხვისა და სპეციფიკაციის შესაბამისობის შემოწმებას.

3.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს – ევროკავშირის პროექტის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი ნატო დვალი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

4 საქონლის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, შემსყიდველის მიერ მიღებული შეკვეთის შესაბამისად მიაწოდოს საქონელი. საქონლის შეკვეთა და მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად.

4.2 ყოველი შეკვეთის შემდგომ საქონლის მოწოდებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია: ანგარიშ-ფაქტურა დღგ-ს გარეშე ან/და სასაქონლო

ზედნადები (დანართითურთ) საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

4.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების მიწოდება საქონელთან ერთად. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ყოველი შეკვეთის დასრულებისას, საქონლის მიწოდების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა გაწეული მომსახურების ღირებულების მოთხოვნის საფუძველს.

6 ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტა - ლარში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში,

7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება დაზარალებული მხარის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად.

7.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9 დამატებითი პირობები

9.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

9.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო მეორე - შემსყიდველ მხარესთან.

„შემსყიდველის“ სახელით	„მიმწოდებელის“ სახელით
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	შპს „კონტინენტალი“
ნატო ავალიანი გენერალური დირექტორი	ვლადიმერ გურგენიძე დირექტორი

ბ. ა.

ბ. ა.

დანართი

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

სხ/სხ საწმენდი ჯაგრისები
სანაგვე პარკები
საწმენდი ტილოები